განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე "საქართველოს საგადასახადო კოდექსში" დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საგადასახადო კოდექსის ნორმების შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კონსტიტუციასთან და "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონტროლის პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა. ახალმა საგადასახადო კოდექსმა შეზღუდა კონტროლის პალატის ეს უფლებამოსილება, კერძოდ, კონტროლის პალატას ჩამოერთვა უფლება შეამოწმოს საგადასახადო და საბაჟო ორგანოების საქმიანობა, აგრეთვე კამერალური წესით შეისწავლოს გადამხდელთა საგადასახადო საქმეები, მათ მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი დოკუმენტები და დაადგინოს საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ გადამხდელებთან ურთიერთობაში სამსახურებრივ ვალდებულებათა აღსრულების მდგომარეობა, ჩატარებული შემოწმებების შესაბამისობა საკანონმდებლო ნორმებთან. ფაქტიურად, საგადასახადო საკითხები რჩება კონტროლის პალატის და შესაბამისად საპარლამენტო კონტროლის გარეშე, ვერ მოწმდება საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლების რეალობა.

კონტროლის პალატის უფლებამოსილება ამ საკითხში დაყვანილ იქნა საფინანსო-სამეურნეო კონტროლის ორგანოების მიერ მოხმარებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შესწავლამდე, რაც არსებით წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან. ამდენად, შემოთავაზებული დამატებით საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობა მოვა სრულ შესაბამისობაში ლიმას დეკლარაციით დადგენილ მსოფლიოს უმაღლეს აუდიტორულ (საანგარიშო, შემმოწმებელ) ინსტიტუციათა საერთაშორისო ორგანიზაცია ("INTOSAI-ს") სტანტარებთან.

ბ)კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას

ბ.ე)კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების გაუარესებას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება .

ბ.ვ)კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი(პრინციპები):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ)კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის შემუშავებისას მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს კონტროლის პალატა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი